


კონსენსუსი და დიპლომატიის



ჩვენ გვინდა მეტი საქართველო ნატოში და მეტი ნატო საქართველოში. ამ მიმართულებით ყველა ძალისხმევა საქართველოს დახმარება მეტად დაუახლოვდეს მის მიზნობას, გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა

ინეს სკოდგენბეჩი, ნატოს გენერალური მდივანი, თბილისი, 27 მაისი 2019

რატომ გვჭირდება ნატოსთან თანამშრომლობა?

- ნატოს მთავარი მიზანია კოლექტიურად დაიცვას მოკავშირე ქვეყნების თავისუფლება და უსაფრთხოება.
- ნატო თანამშრომლობს 40 პარტნიორ ქვეყანასთან უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის მიმართულებით.
- ნატოს მოკავშირეები იზიარებენ საერთო ფასეულობებს, როგორცაა დემოკრატია, ინდივიდუალური თავისუფლება და კანონის უზენაესობა.
- ნატოს დახმარებით სამყარო მეტად უსაფრთხოა!



იცოდით თუ არა, რომ

- საქართველო ნატოსთვის მეტად ფასეული პარტნიორია, რომელსაც ნატო-ს ოპერაციებში და წვრთნებში მონაწილეობით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთო უსაფრთხოების საქმეში, მათ შორის შავი ზღვის მიმართულებით.
- ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში ქართული მხარე ნატოს მოკავშირეებთან პირდაპირ პოლიტიკურ დიალოგშია ჩართული.

რა არის ნატო?

- ნატო ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების თანამშრომლობის ფორმატია, რომელიც 1949 წლიდან მოყოლებული ევროპის უსაფრთხოებას იცავს.
- ნატო მოკავშირე ქვეყნების ალიანსია, რომელიც ერთიანი ძალისხმევით ცდილობს კონფლიქტების თავიდან აცილებასა და მშვიდობის უზრუნველყოფას დაახლოებით 1 მილიარდი ადამიანისთვის.
- ნატო ტრანსატლანტიკური კავშირია, რომელიც ხელს უწყობს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნებას, რაც კაცობრიობის კეთილდღეობის ერთ-ერთი საწინდარია.

იცოდით თუ არა, რომ

- ღია ვარის პოლიტიკა ნატო-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია. ევროატლანტიკური სივრცის ნებისმიერ ქვეყანას აქვს ნატოში გაწევრიანების თავისუფალი არჩევანი, თუ მას გააჩნია ამგვარი ნება, მზად არის განეწვერებისთვის სავალდებულო მოთხოვნების შესასრულებლად, თავისი წვლილი შეაქვს კოლექტიური უსაფრთხოების საქმეში და იზიარებს ნატოს ძირითად ფასეულობებს.

ნატო-საქართველოს თანამშრომლობა

ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, ნატო სხვადასხვა პროგრამების საშუალებით საქართველოს რეფორმების გატარებაში ეხმარება, კერძოდ:



- ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) დახმარებით იზრდება საქართველოს თავდაცვისუნარიანობა.
- წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) საშუალებით ძლიერდება ქართული ჯარის სამხედრო შესაძლებლობები.
- ნატოს სამეკავშირეო ოფისი (NLO) ხელს უწყობს ნატო-საქართველოს შორის პოლიტიკური და სამხედრო დიალოგის გაღრმავებას.
- კეთილსინდისიერების ამალების პროგრამა (BI) ხელს უწყობს კარგი მმართველობის ნახალისებასა და კორუფციის დამარცხებას.
- ნატოს უზრუნველყოფისა და შესყიდვების სააგენტო (NSPA) საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების გაზრდის პროექტების განხორციელებაში ეხმარება.
- ... და მრავალი სხვა.

„ნატოს სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, ჩვენ, თქვენთან ერთად, ყოველდღიურ რეჟიმში ვმუშაობთ საქართველოს თავდაცვის ინსტიტუტებისა და სასამართლო სისტემის მოდერნიზაციისთვის“

ინეს სკოლგინაბერი, ნატოს გენერალური მდივანი, თბილისი, 26 მარტი 2019

როგორ მოვედით დღემდე?

- 1994** საქართველო შეუერთდა ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამას“ (PfP), რომლის მიზანი ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებაა.
- 2008** ბუქარესტის სამიტის დეკლარაციაში ჩაიწერა, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი.
- შეიქმნა ნატო-საქართველოს კომისია.
- 2010** თბილისში გაიხსნა ნატო-ს სამეკავშირეო ოფისი.
- 2014** საქართველომ მიიღო ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP), რომლის მიზანი საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერება და ნატოს წევრ ქვეყნებთან თავსებადობის მიღწევაა.
- 2019** დაიწყო საქართველოსთან თანამშრომლობის გაღრმავება შავი ზღვის უსაფრთხოების მიმართულებით..



„გაოცებული ვართ იმ დიდი პროგრესით, რომელსაც დღემდე მიაღწიეთ, ჩვენ ვაღიარებთ ამ მიღწევას და მოგიწოდებთ, გააქოთოთ კიდევ უფრო მეტი. ჩვენ თქვენთან ერთად ვმუშაობთ საქართველოს და ნატოს საკეთილდღეოდ!“

ინეს სკოლგინაბერი, ნატოს გენერალური მდივანი, თბილისი, 26 მარტი 2019